საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულების (წარმომადგენლობითი საბჭოს 2012 წლის 4 აპრილის N3 ოქმით დამტკიცებული) ცვლილება:

1. დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,ც" ქვეპუნქტი:

   ,,ც) აღმოსავლეთმცოდნეობის სამკითხველო დარბაზი".

2. დებულების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   ,,4. ბიბლიოთეკისათვის უნივერისტეტის საშტატო ნუსხით განსაზღვრული თანამდებობებია: უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის მოადგილე, განყოფილების გამგე (I კატეგორიის მთავარი ბიბლიოთეკარი - I კატეგორიის მთავარი სპეციალისტი), უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულის ბიბლიოთეკის გამგე (II კატეგორიის მთავარი ბიბლიოთეკარი - II კატეგორიის მთავარი სპეციალისტი), სამკითხველო დარბაზის გამგე (წამყვანი ბიბლიოთეკარი - წამყვანი სპეციალისტი) , უფროსი ბიბლიოთეკარი (უფროსი სპეციალისტი), წამყვანი ბიბლიოთეკარი-(წამყვანი სპეციალისტი), რესტავრატორი, უფროსი სპეციალისტი, სპეციალისტი. ბიბლიოთეკის საქმიანობის სპეციფიკისა და საჭიროების გათვალისწინებით შესაძლებელია შტატგარეშე პოზიციაზე მოწვეულ იქნას უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულის ბიბლიოთეკის გამგე (II კატეგორიის მთავარი ბიბლიოთეკარი - II კატეგორიის მთავარი სპეციალისტი), უფროსი ბიბლიოთეკარი (უფროსი სპეციალისტი),

ბიბლიოთეკარი (სპეციალისტი), რესტავრატორი, უფროსი სპეციალისტი, სპეციალისტი, ექსპერტი-კონსულტანტი და მკვლევარი".

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 13186/10 15/07/2021

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს უფროსს

ბატონ გიორგი ჩაკვეტაძეს

ბატონო გიორგი,

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საშტატო განრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით, წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ ბიბლიოთეკის დებულებაში შესატანი ცვლილებების პროექტს (დანართის სახით თან ახლავს). შეთანხმებულია თსუ იურიდიულ, საფინანსო და პერსონალის მართვის დეპარტამენტებთან.

გთხოვთ, მისცეთ მსვლელობა.

პატივისცემით,

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1. Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 222 35 01 Tel/Fax
ელ-ფაქსი: chancellery@tsu.ge; E-mail